

საია : "კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ „ნტვ- პლუს“-ს ავტორიზაცია უნდა შეუჩეროს"



საქართველოს ახარგამრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ იყო უფლებამოსილი „ნტვ-პლუსი“-სთვის ავტორიზაციის გავდის შესაძლებლობა მიეცა, მოუწოდებენ რა სრულყოფილად შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და

შეუჩეროს ავტორიზაცია თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე საქართველოში ავტორიზებულ „ნტვ-პლუსი“-ს.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემებით, „ნტვ პლუსი“ 2016 წლიდან საქართველოში თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე ავტორიზებული პირია. „ნტვ პლუსის“ განცხადებით, საქართველოში შემოსვლა არ არის მხოლოდ ბიზნეს პროექტი და მას „სოციალურ მისიადაც“ განიხილავენ.

აღნიშნული კომპანიის ავტორიზაციის გავდასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ განაცხადა, რომ „კომისიაში დანერგვი პრაქტიკის მიხედვით, პროცედურულად, ნებისმიერი დაინტერესებული პირი მარტივი ავტორიზაციის საშუალებით ავსებდა დეკლარაციას, მათ შორის უცხოური კომპანიის

წარმომადგენელი და თუ ის კანონით გათვარისწინებულ ყველა დოკუმენტს წარადგენდა ავტომატურად იღებდა ავტორიზაციას. კომისიამ ეს მიდგომა შეცვალა და დღეს უკვე უცხოურ კომპანიას მხოლოდ ავტორიზაციის საფუძველზე არ შეუძლია საქმიანობის დაწყება, იმისთვის, რომ კომპანია ქართულ ბაზარზე შემოვიდეს მან სამენარმეო რეესტრში უნდა გაიაროს რეგისტრაცია, რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობა კი წარმოადგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.” – აღნიშნულია განცხადებაში.

საია–ში აცხადებენ, რომ „ერექტონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ავტორიზაციის მსურვერი იურიდიული პირის მიერ დეკლარაციაში სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული უნდა იყოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები და თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული რეესტრიდან ამონაწერი.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი საქართველოში სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირი, მათ შორის უცხო ქვეყნის სანარმოს ფილიალი, ვადგებულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამდენად, ერექტონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის მსურვერი პირიც რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში. შესაბამისად, კომისია არ იყო უფლებამოსილი „ნტვ-პდუსი“-სთვის ავტორიზაციის გავრის შესაძლებლობა მიეცა.

არასწორია ის განაცხადიც, რომ კომისიამ შეცვალა პრაქტიკა ამ საკითხთან მიმართებაში და დღეს აქედან გამომდინარეა საჭირო ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. 2016 წელსაც და დღესაც კანონმდებლობა ავტორიზაციის გასავრცელებად ცადსახად ითხოვს იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციას. კანონის მოთხოვნებს კი კომისია საკუთარი პრაქტიკით ვერ შეცვლის.

ახარგაზრდა იურისტების განმარტებით, გავრცედა ინფორმაცია, რომ

კომისია „ნტვ-პრუსი“-ს მიმართავს წერილით კომისიაში წარმოდგენილ დეკლარაციაზე საქართველოს მენარმეთა და არასამენარმეთო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის დართვასთან დაკავშირებით, დოკუმენტაციის წარმოდგენლობა კი გამოიწვევს ავტორიზაციის შეჩერებას.

“დღეს არსებული მდგომარეობით, დამატებითი ინფორმაციის წარდგენის დავადება – კერძოდ, მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გავლა და შემდგომ ამონაწერის კომისიაში წარდგენა, სამართლებრივ პრობლემას ვერ აღმოფხვრის, ვინაიდან რეესტრში რეგისტრაცია წარმოშობს ახად სუბიექტს, რომელიც ვერ იქნება დღეს თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე ავტორიზებული პირი – „ნტვ-პრუსი“.

საია მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრულყოფილად უნდა შეისწავლოს აღნიშნული საკითხი, შეუჩეროს ავტორიზაცია თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე საქართველოში ავტორიზებულ „ნტვ-პრუსი“-ს და მიმართვის შემთხვევაში თავიდან იმსჯელოს ახადი – საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტის ავტორიზაციის საკითხზე.”- ნათქვამია საიას განცხადებაში.